



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 5 მარტი, 2018 წელი

დრო: 17:00 -19:00

შეხვედრის ადგილი: „ევროპის ფონდი“-ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
6. ვლადიმერ ბოჭაძე - სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
7. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
8. ვიტალი გიორგაძე - საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირი

განსახილველი საკითხები:

1. წესდების ცვლილებები
2. ყოველწლიურ საერთო კრებასთან დაკავშირებული საკითხები
3. სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ქეთევან ვაშაკიძემ. მან საკოორდინაციო საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად საბჭოს წევრებმა ისაუბრეს იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა პლატფორმის წესდებაში და რომელთა კენჭისყრაც უნდა მოხდეს საერთო კრებაზე. წესდების დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები გაიგზავნა პლატფორმის საერთო ჯგუფში და თითოეულ წევრ ორგანიზაციას ჰქონდა შესაძლებლობა წარმოედგინა თავისი შეხედულებები და მოსაზრებები. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა გადაინაწილეს წესდების საკითხები და განისაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საკითხებზე კენჭისყრა და დამსწრე საზოგადოებისთვის წარდგენა.

ასევე საკოორდინაციო საბჭომ სამდივნოსთან დააზუსტა ის ტექნიკური საკითხები, რომელიც უკავშირდება საერთო კრების ჩატარებას. თავის მხრივ სამდივნომ საკოორდინაციო საბჭოს წარუდგინა ხუთ თემატურ სამუშაო ჯგუფში, ჯგუფის წევრთა მიერ კოორდინატორობის კანდიდატებად დასახელებულ პირთა სიები.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა რაისა ლიპარტელიანმა დამსწრეებს წარუდგინა პლატფორმის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებები და შენიშვნები წესდებაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით. მან დეტალურად გააცნო, ენერგოეფექტურობის ფონდის ხელმძღვანელის, ბატონ ვახტანგ ზარქუას, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის, ბატონ თამაზ ვაშაკიძის და ორგანიზაცია ახალგაზრდული ალტერნატივის წარმომადგენლის, ბატონი ნუკრი ყველაშვილის მიერ გამოგზავნილი შენიშვნები და წინადადებები, რომელთა განხილვაც მოხდა საბჭოს წევრების მიერ. ასევე გამოიყო დამატებითი დრო წესდების საკითხთან დაკავშირებით სამსჯელოდ იმ პირებისთვის, ვისაც აქვს კონკრეტული შენიშვნები წესდებასთან დაკავშირებით.

შეხვედრის დასასრულს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ერთ წლიანი მუშაობისთვის და იმ შედეგებისთვის, რომელსაც პლატფორმამ განვლილი წლის მანძილზე მიაღწია, მომავალ წლებში კი, უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი მუშაობა უსურვა მთლიან პლატფორმას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე